

საქმე Neilson: როგორ მივიდა სასამართლო უკუმიმართებიდან იდენტურობის პრეზუმფციამდე

თამარ მსხვილიძე

ქუთაისის უნივერსიტეტის ადვოკატურის ასისტენტი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული
სპეციალისტი

საკვანძო სიტყვები: უცხოური სამართალი, პრეზუმფცია,
უკუმიმართება

„მოსამართლე, რომელიც იყენებს თავისი ქვეყნის კანონს –
შეავს არქიტექტორს, ხოლო როცა იყენებს
უცხო ქვეყნის კანონს – ფოტოგრაფს.“
ვერნერ გოლდშმიდტი

„უკუმიმართება არის საკითხი, რომელიც უყვარს
მეცნიერებს, სძულს სტუდენტებს და იგნორირებულია
(როდესაც ამჩნევენ) პრაქტიკოსი იურისტების, მათ შორის,
მოსამართლეთა მიერ“¹

შესავალი

დღევანდელ მსოფლიოში საგრძნობლად მოიმატა სასამართლოთა მიერ საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავების განხილვის რიცხვმა. ეს უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია სამოქალაქო პროცესების ინტერნაციონალიზაციით,

1 Ricketson S., Lindell G., (1997). Conflict of Laws: Commentary and Materials, 379.

რომელიც თავის მხრივ არის ტრანსნაციონალური ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდის, ასევე ახალი შესაძლებლობებისა და შორეული დისტანციების გადალახვის შედეგი.

საერთაშორისო კერძო სამართალი განსაზღვრავს რომელი ქვეყნის სამართლით მოწესრიგდეს უცხო ელემენტით დატვირთული კერძოსამართლებრივი ურთიერთობა. როცა კოლიზიური ნორმა კონკრეტული სამართალურთიერთობის დასარეგულირებლად უთითებს რომელიმე ქვეყნის სამართალს, რომლის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმა შესაძლებელია უკან დაუბრუნოს მითითება თავდაპირველ ქვეყანას, აქ საუბარია უკუ-მითითებაზე.

ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის მიხედვით, თუ უცხოური სამართლის შინაარსი ვერ დგინდება, მოსამართლე უფლებამოსილია გამოიყენოს ეროვნული სამართალი, უცხოური და ეროვნული სამართლის იდენტურობის პრეზუმფციიდან გამომდინარე.²

ავსტრალიურ იურისპრუდენციაში მიაჩნიათ, რომ ანგლო-ავსტრალიური საერთაშორისო კერძო სამართლის ცოტა სფერო იწვევს ისეთ გაოცებას, როგორსაც ე.წ. იდენტურობის პრეზუმფცია. ეს არის პრინციპი, რომ უცხოური სამართლის შესახებ საკმარისი მტკიცებულების არარსებობისას სასამართლო გამოიყენებს ადგილობრივ სამართალს, რათა გადაჭრას მის წინაშე მდგარი პრობლემები.³ ერთ-ერთ საქმეში, ავსტრალიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა გამოხატეს მარტივი და პრაგმატული ხედვა, რომ უცხოური სამართლის მტკიცების, ან მის შესახებ შეთანხმების არარსებობისას სასამართლო ქვეყნის სამართალი იქნება გამოყენებული. პრეზუმფციის უჩვეულო მაგალითად

მიჩნეულია საქმე Marriage of Khademollah,⁴ სადაც სასამართლო იძულებული გახდა დაეშვა, რომ ირანის შარიათის სამართალი იყო იგივე, რაც ავსტრალიის საოჯახო სამართალი და განაცხადა: „როგორც ზოგადი წესი, არსებობს დაშვება, რომ ექსპერტთა ჩვენების გარეშე უცხო ქვეყნის სამართალი არის იგივე, რაც სასამართლო ქვეყნის. ამ პრეზუმფციის გამოყენებას გარკვეული სიურიალისტური თვისებები გააჩნია, როდესაც საქმე გვაქვს არასაერთო სამართლის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ისეთებთან, რომლებიც აღიარებენ, რომ იმართებიან რელიგიური კოდექსებით, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც პრინციპი კვლავ გამოიყენება“. სასამართლოს კოლეგიამ უკმაყოფილება გამოხატა და დასძინა: „ინტერნეტისა და CNN-ის ხანაში მალე დადგება ის დრო, როცა ავსტრალიაში საოჯახო სასამართლოს მოსამართლეს შეეძლება შეიტყოს, რომ რელიგიური კანონებით მართულ ქვეყნებში, განქორწინების შემდეგ ქალისა და მამაკაცის უფლებები ქონების განაწილების საკითხში მნიშვნელოვნად განსხვავდება ავსტრალიური რეგულირებისაგან.“ ფაქტია, ავსტრალიური სასამართლოები საკმაოდ ხშირად იყენებენ ავსტრალიურ სამართალს იმ საკითხებზე, რომლებიც რეგულირდებიან უცხოური სამართლით.

უცხოური ნორმის არსის დადგენა პირდაპირ კავშირსა და ფუნქციურად ურთიერთდამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფება უკუმითითების საკითხთან. ჯერ ერთი, როდესაც სასამართლო ქვეყნის კანონი უთითებს უცხოურ სამართალს (კოლიზიური და მატერიალური) და ეს სამართალი აბრუნებს მითითებას თავდაპირველ ქვეყანაზე, იმისთვის რომ სასამართლომ მიიღოს უკუმითითება, მან უნდა იცოდეს უცხოური კოლიზიური ნორმის არსი. და მეორე, შესაძლებელია კოლიზიური ნორმის ძალით მითითებულმა სამართალმა თავის მხრივ, შემდგომ მიუთითოს მესამე ქვეყნის სამა-

2 Stern B. William., (1957). Foreign Law in the Courts: Judicial Notice and Proof, California Law Review, Volume 45, Issue 1 29,30.

3 McComish J., (2007). Pleading and proving foreign law in Australia. Melbourne University Law Review, 431, 432.

4 McComish J., (2007). Pleading and proving foreign law in Australia. Melbourne University Law Review, 432.

რთალზე. ამ შემთხვევაშიც დღის წესრიგში დადგება მისი მატერიალური სამართლის ნორმის დადგენის საკითხი. ხშირად მსოფლიოს იურიდიულ ლიტერატურასა თუ სასამართლო პრაქტიკაში ეს საკითხები კომპლექსურად განიხილება. მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ და რეზონანსულ 2005 წლის საქმეში *Neilson v Overseas Projects Corporation Of Victoria LTD*,⁵ რომელმაც მსოფლიოს საერთაშორისო კერძო სამართლის იურისტებს შორის უდიდესი ინტერესი გამოიწვია, ავსტრალიის უზენაეს სასამართლოს მოუწია როგორც უკუმიტითების, ისე უცხოური ნორმის შინაარსის განსაზღვრის შესახებ მსჯელობა.

ნელსონი: საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მიღებული გადაწყვეტილებები

ბარბარა ნეილსონი ბინაში ყოფნისას კიბეებიდან ჩამოვარდა და მძიმედ დაშავდა (კიბეს არ ჰქონდა მოაჭირი, რაზეც უკმაყოფილება ნეილსონებმა თავიდანვე გამოთქვეს). ეს მოხდა ვუჰანში, ჩინეთში. მისი მეუღლე, ჯორჯ ნეილსონი ორი წლის ვადით დასაქმებული იყო მოპასუხის *Overseas Projects Corporation of Victoria Ltd (OPC)*-ის მიერ, რათა მოემზადებინა კურსი ორგანიზაციულ ქცევაზე ვუჰანის რკინისა და ფოლადის უნივერსიტეტში. გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, OPC-ს უნდა უზრუნველყო საცხოვრებელი ჯორჯისა და მისი ოჯახისათვის. მოსარჩელები იყვნენ ავსტრალიის მოქალაქეები, მუდმივად მცხოვრებნი დასავლეთ ავსტრალიაში, შესაბამისად მათ დაბრუნებისას იქ აღძრეს სარჩელი

OPC-ის წინააღმდეგ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბარბარა ნეილსონის დელიქტური სარჩელი წესრიგდებოდა დელიქტის ადგილის კანონით (*lex loci delicti*), ე.ი. ჩინური სამართლით. ნეილსონის ადვოკატმა სასამართლოს განუცხადა, რომ ის არ წარმოადგენდა არავითარ მტკიცებულებას ჩინური სამართლის თაობაზე და მიზანშეწონილად მიიჩნევდა ამ საკითხზე შეძლებისდაგვარად ცოტა ესაუბრა. ამდენად, მან არ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცება ჩინური კანონის შესახებ, რაც გააკეთა მოწინააღმდეგის წარმომადგენელმა. იგი ცდილობდა დაცვა აეგო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპების⁶ 136-ე მუხლის მიხედვით, რომელიც დელიქტური სარჩელისათვის ხანდაზმულობის ვადად აწესებდა ერთ წელს. რაც ბუნებრივია სარჩელის უარყოფას გამოიწვევდა, რადგან შემთხვევის დადგომიდან გასული იყო ხუთ წელზე მეტი. მოპასუხის ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა 1986 წლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის პრინციპებისა და ჩინური სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ინგლისური თარგმანები, ასევე უზენაესი სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებები. ექსპერტად მოიწვია ჩინელი იურისტი, რომელიც ფლობდა შანხაისა და ავსტრალიის უნივერსიტეტების სამართლის ხარისხს. ჯვარედინი დაკითხვისას, ექსპერტმა თარგმნა და განმარტა ჩინეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. მისი ჩვენებიდან გამომდინარე გაირკვა, რომ 137-ე მუხლი ითვალისწინებდა ხანდაზმულობის ვადის გაგრძელებას განსაკუთრებულ გარემოებებში. თუმცა, ეს მუხლი მაშინ გახდებოდა რელევანტური, თუკი სარჩელის აღძვრის საკითხს ჩინური სამართალი განსაზღვრავდა და ისეთი განსაკუთრებული გარემოება იარსებებდა, როგორიცაა ომი. მსგავსი გარემოებების არსებობა ამ საქმეში არ დადასტურდა.

5 Cheshire, North and Fawcett Private International Law, (2008). Fourteenth Edition, 112,113 [http://www.austlii.edu.au](http://eresources.hcourt.gov.au/downloadPdf/2005/HCA/54 Daves M., (2006). Renvoi and presumptions about foreign law, Melbourne University law review, 331, 370. Schoeman E., (2006). Renvoi: Throwing (and catching) the Boomerang – Neilson v Overseas Projects Corporation Of Victoria LTD The University of Queensland Law Journal, 203-212. <a href=)

6 The General Principles of Civil Law of the People's Republic of China http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content_1383941.htm

სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპების 126-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „შენობის გამო წარმოშობილი ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ შენობის მესაკუთრეს, მაკონტროლებელს ან მენეჯერს.“ მოსამართლემ უარყო ჩინურ სამართალს დაფუძნებული დაცვის ეს პოზიცია და განაცხადა: „ჩინეთის სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპების 146-ე მუხლი, მე უფლებას მაძლევს გამოვიყენო ავსტრალიური სამართალი, რადგან ორივე მხარე ავსტრალიის მოქალაქენი არიან.“ სასამართლოს მიერ გამოყენებული ამ

მუხლის თარგმანში წერია: „უფლებების დარღვევით გამოწვეული ზიანის კომპენსაციისას, გამოყენებულ უნდა იქნას იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ადგილი ჰქონდა დარღვევას. თუ ორივე მხარე არის ერთი და იგივე ქვეყნის წარმომადგენელი ან მუდმივად მცხოვრებნი ერთსა და იმავე ქვეყანაში, ასევე შესაძლოა გამოყენებულ იყოს მათი ქვეყნის ან საცხოვრებელი ადგილის სამართალი.“ გამოიყენა რა ავსტრალიური სამართალი, მოსამართლემ დაასკვნა, რომ OPC-მა დაარღვია სიფრთხილის დაცვის ვალდებულება ბარბარა ნეილსონის მიმართ და დაავალდებულა იგი მიყენებული ზიანისათვის 300.000 დოლარით. სასამართლომ, ასევე OPC-ის დაზღვევაზე პასუხისმგებლობა დააკისრა MMI-ს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. ასე, რომ 2004 წელს განხილულ საქმეში *Mercantile Mutual Insurance Ltd v Neilson* სასამართლომ მიიჩნია, რომ თავდაპირველ მოსამართლეს უნდა ესარგებლა ჩინური სამართლით და სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გასულად მიეჩნია. ამის შემდგომ ნეილსონმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა დასავლეთ ავსტრალიის უზენაეს სასამართლოში. ამგვარად, უზენაესი სასამართლოს წინაშე მდგომი პირველი საკითხი, რომელიც გადაჭრას საჭიროებდა, იყო ის რომ სასამართლოს, რომლის კოლიზიური ნორმა უთითებდა ზიანის მიყენების ადგილს (*lex loci delicti*), მხედველობაში უნდა მიეღო მთლიანად უცხოური სამართალი, თუ მხოლოდ უცხო

ქვეყნის მატერიალური სამართალი. უმრავლესობით, ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო ჩინური სამართლის მთლიანად გათვალისწინება, კოლიზიური სამართლის ნორმების ჩათვლით. საპირისპიროს გაკეთება გამოიწვევდა იმას, რომ ავსტრალიურ სასამართლოს შესაძლოა გამოეყენებინა ჩინური სამართალი, მაშინ როცა თავად ჩინეთის სასამართლო იმავე საქმის განხილვისას არ გამოიყენებდა საკუთარ სამართალს, რადგანაც ჩინური კოლიზიური სამართლის ნორმების არჩევანი მიმართავდა მას სხვა იურიდიული სისტემისკენ.

პროცესზე წარმოიშვა სადავო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებდნენ ჩინური სასამართლოები მოქნილ გამოწვევის, რომელიც მოქცეულია 146-ე მუხლის მეორე წინადადების დისკრეციულ სიტყვაში „შესაძლოა“. ჩინური სამართლის ექსპერტმა თითქმის არაფერი თქვა იმაზე, თუ როგორ განიმარტებოდა ეს წინადადება თავად ჩინეთში. მტკიცებულებათა ნაკლებობამ სასამართლო წაიყვანა იქითკენ შესაძლებელი იყო თუ არა ცარიელი ადგილების შევსება იმის ვარაუდით, თუ რას გააკეთებდა ჩინური სასამართლო.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, როდესაც საქმე უცხოურ სამართალს ეხება ავსტრალიის სასამართლოები იყენებს პრეზუმფციას უცხოური და ავსტრალიური სამართლის იდენტურობის შესახებ, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. როგორც ამბობენ, ეს საკმაოდ უცნაური პრაქტიკა წარმოიშვა იმის გამო, რომ „ავსტრალიურმა სასამართლოებმა არ იციან უცხოური სამართალი“, ამიტომ უნდა იქნას დადასტურებული მათთვის უცხოური კანონმდებლობის წინაარსი მტკიცებულებებით. ამდენად, მხარეებსა და სასამართლოს შეუძლია მოხერხებულად დააიგნორონ უცხო სახელმწიფოს სამართალი, სანამ ერთ-ერთი მხარე არ დაინახავს გარკვეულ უპირატესობას იმის დამტკიცებაში, რომ უცხოური სამართალი გარკვეულწილად განსხვავდება ავსტრალიურისაგან. ასეთი ტაქტიკით მოემზადნენ მოსარჩელის ადვოკატები

Neilson-ის სასამართლო პროცესისათვის. მოსარჩელებს არაფერი უმტკიცებიათ და არც მტკიცებულებები წარმოუდგენიათ ჩინური სამართლის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ჩანაწერიდან გამოირკვა, რომ მოსარჩელის ადვოკატი პროცესის დასაწყისში, გულწრფელად დაეთანხმა მოსამართლეს და განაცხადა: „ჩვენ რამდენადაც შეგვიძლია ვცდილობთ, შორს ვიყოთ ჩინური სამართლისაგან“. პირიქით, მოპასუხე დაინტერესებული იყო იმის ჩვენებით, რომ ჩინური სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გაცილებით მოკლე იყო, ვიდრე ეკვივალენტური დასავლეთ ავსტრალიის. მან წარმოადგინა მტკიცებულებები ჩინური სამართლის შესახებ, თუმცა არაფერი უთქვამს, იმაზე თუ როგორ იქნებოდა 146-ე მუხლის მეორე წინადადება ინტერპრეტირებული ჩინეთში. შედეგად, წარმოიშვა საკითხი უცხოური სამართლის ადექვატური მტკიცების არარსებობისას სასამართლო ხომ არ დაბრუნებოდა იდენტურობის პრეზუმფციას. კოლეგიის უმრავლესობამ მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იყო პრეზუმფციის გამოყენება, ანუ ჩინური სასამართლო 146-ე მუხლს იმგვარად განმარტავდა, როგორც ავსტრალიური. კოლეგიიდან ერთ-ერთი მოსამართლე არ დაეთანხმა ამას და დააფიქსირა განსხვავებული აზრი, რომ პრეზუმფცია არ უნდა გამოყენებულიყო, რადგან იმის დაშვება რომ ასეთი განსხვავებული, გამორჩეული იურიდიული სისტემის მქონე ქვეყანას, როგორიც ჩინეთია ავსტრალიის მსგავსი სამართალი გააჩნდა, სრულიად არადაშვებულად უღერდა. მისი აზრით, წარმოუდგენელი იყო ჩინური სამართალი ისევე განემარტა და გამოეყენებინა ჩინურ სასამართლოს, როგორც ავსტრალიელ მოსამართლეს. ავსტრალიური სამართალი *lex loci delicti* წესში არ აღიარებდა მოქნილ გამოწვევას. ამდენად, 146-ე მუხლის მეორე წინადადება აღმოჩნდა „სამართლის ნორმის ნაწილი და ისეთი გზავნილი, რომელსაც არ გააჩნდა ეკვივალენტი ავსტრალიურ სამართალში“.

დასკვნა

უკუმიტითების პრინციპის კანონმდებლობაში დანერგვამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მე-20 საუკუნის დასაწყისში, მოქმედი კანონმდებლობა უკუმიტითების წინააღმდეგ გამოდიოდა. კოლიზიონისტთა შორის გავრცელებული შეხედულებით, მის შემოღებას ისეთივე მნიშვნელობა ექნებოდა, როგორიც სახელმწიფოს მხრიდან სასამართლოს უზენაესობის უარყოფას უცხოური კანონმდებლობის სასარგებლოდ. მათი აზრით, შესაძლოა ეარსება საფრთხე, რომ ნებისმიერი კოლიზიურსამართლებრივი მითითება დაუსრულებლად გაგრძელებულიყო დროში და საბოლოოდ გადაწყვეტა ვერ მომხდარიყო. შესაბამისად, შეიქმნებოდა ისეთი მდგომარეობა, რასაც კანონი სარკეთა თამაშს ან ჩოგბურთის საერთაშორისო პარტიას უწოდებს.⁷

არსებობდა ამ ინსტიტუტის მხარდამჭერი მთავარი არგუმენტი – ის არის საშუალება, რათა დაინტერესებულ ქვეყნებს შორის წარმოიშვას ჰარმონია, ანუ აღსრულდეს იგივე კანონი, ვინც არ უნდა იყოს უფლებამოსილი მოსამართლე.

მიუხედავად იმისა, რომ უკუმიტითება არაერთგვაროვნად იქნა მიღებული არა მარტო დოქტრინის, არამედ სასამართლო პრაქტიკის მიერ, საბოლოოდ სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობის კოლიზიურმა კანონმდებლობამ ცნო აღნიშნული პრინციპის გამოყენების საჭიროება.

ზოგიერთი მეცნიერი აკრიტიკებს იდენტურობის პრეზუმფციას და მიაჩნია, რომ ის ძირს უთხრის იმ მიზნებს, რომელთა განხორციელებას კანონმდებლები ცდილობენ მტკიცებულებათა დოქტრინაში, კერძოდ მტკიცების ტვირთის ნაწილში. ილუსტრირებისათვის: მხარეს, რომლის სარჩელი რეგულირდება უცხოური სამართლით და ეს მისთვის წამგებიანია, შეუძლია მიმართოს შემდეგ სტრატეგიას – თავი შეიკავოს სამართლის შინაარსის დასადგენად

7 Perrone P., (2002). aprile, Il problema del rinvio nel diritto internazionale private Diritto&Diritti p.4 <https://www.diritto.it/rinvio-nel-diritto-internazionale-privato/>

მტკიცებულებების წარდგენისაგან, რათა ამოქმედდეს იდენტურობის პრეზუმფცია და გამოიყენებულ იქნას მის მიმართ კეთილგანწყობილი სასამართლო ქვეყნის კანონი.⁸ ამდენად, პრეზუმფციის მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად (როცა უცხო სამართლის შინაარსის მტკიცების რეალური სირთულე არ არსებობს; სასამართლო ქვეყნისა და უცხოურ კანონს შორის მსგავსება უბრალო ფიქციაა და ა.შ.), კრიტიკოსები უთითებენ მისი სტრატეგიულად გამოყენების შესაძლებლობას, როგორც მდგომარეობიდან გამოსავალს, რაც ხელს უწყობს ადგილსამყოფელი სამართლის გამოყენებას, მაშინ როცა უცხოურია გამოსაყენებელი.

8 Rotem Y., 2014. Foreign Law as a Distinctive Fact – To Whom Should the Burden of Proof Be Assigned? Chicago Journal of International Law Vol. 14, 640. 2002 წლის საქმეში Shaker v Al Bedrawi ინგლისის სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ შემთხვევაში არ შეეძლო ეარსება უცხოურ სამართალსა და ინგლისურ კანონს შორის იდენტურობის პრეზუმფციას და არც ინგლისური სამართალი უნდა გამოყენებულიყო ავტომატურად, მხოლოდ იმიტომ რომ უცხო ქვეყნის სამართლის დადგენა ვერ მოხდა. Rogerson P., 2013. Collier's Conflict of Laws, Cambridge University Press, Fourth Edition, 50.

CASE NOTE NEILSON: HOW THE COURT CAME FROM THE RENVOI TO THE PRESUMPTION OF IDENTITY

Tamar Mskhvilidze

Kutaisi University, Affiliate Assistant

Akaki Tsereteli State University, Invited Lecturer

KEYWORDS: Foreign Law, Renvoi, Presumption of identity

RESUME

The decision of the High Court of Australia in Neilson is a very rare event, since it contains an extended consideration of renvoi by a national court of final appeal in a case containing a real renvoi issue. Not surprisingly, the case attracted considerable interest among private international lawyers around the world even before it reached the Court, and the Court's decision was eagerly awaited.

This case note argues that it makes no sense to apply foreign law at all, far less the choice of law rules (including the renvoi rules) of that foreign law, if the relevant foreign courts would not have or retain jurisdiction over the dispute. If an answer to the renvoi question is still called for after this preliminary jurisdictional enquiry, single renvoi is preferable, although it was rejected by a majority of the Neilson Court. This case note also points out that the Neilson Court used the presumption that foreign law is the same as Australian law in a manner that greatly assists forum shopping, while repeating the now routine condemnations of the practice of forum shopping.

NOTES:

1. Ricketson S., Lindell G., (1997). Conflict of Laws: Commentary and Materials, 379. (In English)
2. Stern B. William., (1957). Foreign Law in the Courts: Judicial Notice and Proof, California Law Review, Volume 45, Issue 1 29,30. (In English)
3. Mccomish J., (2007). Pleading and proving foreign law in Australia. Melbourne University Law Review, 431, 432. (In English)
4. Mccomish J., (2007). Pleading and proving foreign law in Australia. Melbourne University Law Review, 432. (In English)
5. Cheshire, North and Fawcett Private International Law, (2008). Fourteenth Edition, 112,113 <http://eresources.hcourt.gov.au/downloadPdf/2005/HCA/54> (In English)
6. Daves M., (2006). Renvoi and presumptions about foreign law, Melbourne University law review, 331, 370. (In English)
7. Schoeman E., (2006). Renvoi: Throwing (and catching) the Boomerang – Neilson v Overseas Projects Corporation Of Victoria LTD The University of Queensland Law Journal, 203-212. <http://www.austlii.edu.au> (In English)
8. The General Principles of Civil Law of the People's Republic of China http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content_1383941.htm (In English)
9. Perrone P., (2002). aprile, Il problema del rinvio nel diritto internazionale private Diritto&Diritti p.4 <https://www.diritto.it/rinvio-nel-diritto-internazionale-privato/> (In Italian)
10. Rotem Y., (2014). Foreign Law as a Distinctive Fact – To Whom Should the Burden of Proof Be Assigned? Chicago Journal of International Law Vol. 14, 640. (In English)
11. Rogerson P., (2013). Collier's Conflict of Laws, Cambridge University Press, Fourth Edition, 50. (In English)